საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

# დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030685822895221

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

**#06/5737** **27 / დეკემბერი / 2021 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ სსიპ - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) განხილულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან (შემდგომში-სამინისტრო) შემოსული წერილი N01/18887 (27.11.2021), რომელიც ეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის „ქალაქ სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის (მმტმ) სტრატეგიული გეგმის“ პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების განმეორებითი განხილვის საკითხს და სამინისტროს პოზიციის დადასტურებას.
ამავე წერილს თან ერთვის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 13 აპრილის ბრძანება (N2-430), სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის „ქალაქ სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის (მმტმ) სტრატეგიული გეგმის“ პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი არდაქვემდებარების შესახებ.
სკრინინგის განცხადების თანახმად, ქალაქ სიღნაღში სატრანსპორტო ნაკადების ამჟამინდელი მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, შესაბამისად, „ქალაქ სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის (მმტმ) სტრატეგიული გეგმის“ შემუშავების მთავარ მიზანს არსებული სატრანსპორტო ნაკადების მოწესრიგება წარმოადგენს, რაც დადებით ეფექტს იქონიებს ქალაქის სატრანსპორტო სისტემის განვითარებაზე, რაც გაზრდის ქალაქის ტურისტულ პოტენციალს და გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე ქალაქ სიღნაღში ქვეითებისა და ავტომობილებით მოსიარულეთათვის შეიქმნება მოძრაობისათვის უკეთესი გარემო, რაც მოუწესრიგებელ სატრანსპორტო ნაკადების განტვირთვის წინაპირობა და გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე დადებითი ზემოქმედების საწინდარია. ამასთან ერთად, წარმოდგენილ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ქალაქ სიღნაღის მმტმ სტრატეგიული გეგმა არ ითვალისწინებს მასშტაბური საქმიანობების განხორციელებას, და შესაბამისად, გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება მაღალი ხარისხის და ხანგრძლივი პერიოდის.
აქედან გამომდინარე, ცენტრს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ „ქალაქ სიღნაღის მულტიმოდალური ტრანსპორტისა და მობილობის (მმტმ) სტრატეგიული გეგმის“ პროექტი არ ექვემდებარება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე